

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ,
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 6

ქ.ვანი, თავისუფლების ქ. N65

11 ივნისი 2019 წელი
14 : 00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გელა ჩიკვაძე, გიორგი ივანიაძე, შალვა ლორთქიფანიძე, ვარლამ გიორგაძე, რამაზ არველაძე, გელა ვარდოსანიძე, თამარ შენგელია.

საკვალიფიკაციო მიზნების გამო სხდომას არ ესწრებოდნენ: კობა ტოხვაძე, ოლეგი მიქელთაძე,

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

მოწვეული პირები: მუნიციპალიტეტის მერის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - ნარგიზი ალფაიძე.

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - გელა ჩიკვაძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - ლუბა კიკაბიძე

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეინდრის N3 და N4 ქუჩებისათვის 2011 წელს ავღანეთში გმირულად დაღუპული სერჟანტ რეზო ბერიძის სახელის მინიჭების შესახებ

მომხს: გელა ჩიკვაძე

2.სსიპ ქალაქ ვანის N2 საჯარო სკოლისათვის გალაკტიონ ტაბიძის სახელის მინიჭების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

მომხს; გელა ჩიკვაძე

3.,,ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სარაგბო კლუბ ,,აიეტი“- ში (ს/კ 429651469) რეორგანიზაციის გამოცხადების შესახებ“ მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე

მომხს: ნარგიზი ალფაიძე

4.,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ვანის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება“-ში (ს/კ 429651717) რეორგანიზაციის გამოცხადების შესახებ“ მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს: ნარგიზი ალფაიძე

გადაწყვიტეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს :

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაძემ კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეინდრის N3 და N4 ქუჩებისათვის 2011 წელს ავღანეთში გმირულად დაღუპული სერჟანტ რეზო ბერიძის სახელის მინიჭების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილმა საკითხმა გაიარა ყველა საჭირო პროცედურა და შესაბამისად გადაწყდა, რომ ზეინდრის N3 და N4 ქუჩებს მიენიჭოს რეზო ბერიძის სახელი.

კომისიის წევრების მხრიდან მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

მომხრე - 7

წინააღმდეგი - არცერთი

წარმოდგენილი საკითხი მზად არის გავიდეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

დაადგინეს:

დამტკიცდეს განკარგულება ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეინდრის N3 და N4 ქუჩებისათვის 2011 წელს ავღანეთში გმირულად დაღუპული სერჟანტ რეზო ბერიძის სახელის მინიჭების შესახებ.

/დანართი 2/

მოისმინეს :

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაძემ კომისიის წევრებს გააცნო სსიპ ქალაქ ვანის N2 საჯარო სკოლისათვის გალაკტიონ ტაბიძის სახელის მინიჭების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელმა განმარტა, რომ საჯარო სკოლისთვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის N194 ბრძანების მე-4¹ მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლება აქვს მიანიჭოს სსიპ ქალაქ ვანის N2 საჯარო სკოლას ეწოდოს გალაკტიონ ტაბიძის სახელი.

კომისიის თავმჯდომარემ წარმოდგენილი მეორე საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 7
წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს:

მიეცეს თანხმობა სსიპ ქალაქ ვანის N2 საჯარო სკოლისათვის გალაკტიონ ტაბიძის სახელის მინიჭებას.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

/დანართი N 3/

მოისმინეს :

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ნარგიზი ალფაიძემ კომისიის წევრებს გააცნო „ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სარაგბო კლუბ „აიეტი“-ში (ს/კ 429651469) რეორგანიზაციის გამოცხადების შესახებ“ მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „სარაგბო კლუბ „აიეტი“-ში „ვანის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანებიდან საბავშვო რაგბის ჯგუფი გადადის და შესაბამისად გამოცხადდა რეორგანიზაცია, რაზეც საჭიროა საკრებულოს თანხმობა.

კომისიის თავმჯდომარემ წარმოდგენილი მესამე საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 7
წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს:

მიეცეს თანხმობა „ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სარაგბო კლუბ „აიეტი“-ში (ს/კ 429651469) რეორგანიზაციის გამოცხადების შესახებ“ მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტს.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

/დანართი N 4/

მოხმინეს :

დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ნარგიზი ალფაიძემ კომისიის წევრებს გააცნო „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ვანის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება“-ში (ს/კ 429651717) რეორგანიზაციის გამოცხადების შესახებ“ მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე და განმარტა, რომ აქაც შესაბამისად საბავშვო რაგბის ჯგუფი გადადის „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ვანის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანებიდან „სარაგბო კლუბ „აიეტი“-ში , რის გამოც გამოცხადდა რეორგანიზაცია.

კომისიის თავმჯდომარემ წარმოდგენილი მეოთხე საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 7
წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს:

მიეცეს თანხმობა „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ვანის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება“-ში (ს/კ 429651717) რეორგანიზაციის გამოცხადების შესახებ“ მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტს.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

/დანართი N5/

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გელა ჩიკვაძე

საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო,
საპროცედურო საკითხთა და ეთიკის
კომისიის სხდომის თავმჯდომარე